

შპს „ტუანა ტექსტილი“

2020 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლის

ინდივიდუალური საერთო დანიშნულების

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
ამონაგების აღიარება	5
მოგების გადასახადი	5
ძირითადი საშუალებები	5
არამატერიალური აქტივები	5
აქტივების გაუფასურება	6
იჯარა	6
მარაგები.....	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	6
სავაჭრო ვალდებულებები	6
ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.....	6
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	6
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	6
3. განმარტებითი შენიშვნები:	7
შენიშვნა #1 - ამონაგები	7
შენიშვნა #2 -ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7
შენიშვნა #3 - სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	7
შენიშვნა #4 - სხვა არასაოპერაციო ხარჯი	8
შენიშვნა #5 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	8
შენიშვნა #6 - მარაგები	8
შენიშვნა #7 - ძირითადი საშუალებები	9
შენიშვნა #8 - არამატერიალური აქტივები.....	9
შენიშვნა #9 – სესხები/ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	10
ჩვეულებრივი იჯარა	10
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	10
აქტივების გაუფასურება	10

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შპს „ტუანა ტექსტილი“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	2020 წ	2019 წ
ამონაგები	1	9 181 587	6 651 583
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1 414 686)	(1 265 080)
საერთო მოგება		7 766 901	5 386 503
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2	(167 799)	(221 487)
საოპერაციო მოგება		7 599 102	5 165 016
სხვაარასაოპერაციო შემოსავლები	3	356 632	8 550
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4	(143 568)	(175 301)
მოგება დაბეგვრამდე		7 812 166	4 998 265
მოგების გადასახადი		(3 426)	(40 822)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		7 808 740	4 957 443
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		7 171 357	2 445 011
გაცემული დივიდენდები		(19 414)	(231 097)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		14 960 683	7 171 357

შენიშვნა : ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ფუნქციების მიხედვით (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ადმინისტრაციული ხარჯები, ფინანსური ხარჯები და ა.შ). ვინაიდან წლის განმავლობაში შპს „ტუანა ტექსტილის“ საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებამ ან ზარალმა და დივიდენდების გაცემამ განაპირობა, საწარმომ გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ცალკე-ცალკე წარდგენის ნაცვლად.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „ტუანა ტექსტილი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე).

	მენიშ ნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	14 465	50 188	12 640
მარაგები	6	2 423 477	2 396 320	2 476 467
გაცემული ავანსები		7 687 069	4 544 864	1 582 648
სავაჭრო მოთხოვნები		6 859 873	1 812 707	255 685
საგადასახადო მოთხოვნები		8 686	20 231	156 782
სულ მიმდინარე აქტივები		16 993 570	8 824 310	4 484 222
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	101 842	119 055	114 725
არამატერიალური აქტივები	8	1 899	2 154	2 408
სულ გრძელვადიანი აქტივები		103 741	121 209	117 133
სულ აქტივები		17 097 311	8 945 519	4 601 355
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		0	0	324 226
სავაჭრო ვალდებულებები.		1 993 895	1 707 955	1 652 634
სესხები დამფუძნებლისგან	9	142 733	66 207	178 884
სახელფასო ვალდებულება		0	0	600
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 136 628	1 774 162	2 156 344
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		2 136 628	1 774 162	2 156 344
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება		14 960 683	7 171 357	2 445 011
სულ კაპიტალი		14 960 683	7 171 357	2 445 011
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17 097 311	8 945 519	4 601 355

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი



საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „ტუანა ტექსტილი“

საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტუანა ტექსტილი“ მეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია სამტრედია ბაგრატიონის ქ. 2. საიდენტიფიკაციო კოდი 415101543. კომპანია რეგისტრირებულია 18/12/2017წ., სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის მმართველი დირექტორი და 100 % წილის მფლობელია თურქეთის მოქალაქე ბეჰზად ფირატი. მისი ძირითადი საქმიანობაა საცვლების წარმოება, საბითუმო ვაჭრობა საცვლებით, საცალო ვაჭრობა 1 მაღაზიაში ფოთში. კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობა სამკერვალო ფაბრიკისთვის, სადაც ხდება საცვლების წარმოება, ასევე 1 მაღაზიისთვის იჯარით აღებული აქვს ფოთში. კომპანიას არ გააჩნია მშობელი, შვილობილი და მეკავშირე კომპანიები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლიდან და შესაბამისად მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს ტუანა ტექსტილი სარგებლობს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება, მყიდველის მხარეს გადადის საქონლის ფლობასთან არსებული რისკი და სარგებელი. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ღდგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების წლების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის ვადით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არ არის ფინანსური იჯარის ოპერაციები. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია საბანკო სესხით და ოვერდრაფტით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, კვების დანამატი) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო გადახდები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში

3. განმარტებითი შენიშვნები:

შენიშვნა #1 - ამონაგები

	გაყიდვები საქართველოში წარმოებული პროდუქციის (ექსპორტი)	საცალო გაყიდვები (მაღაზიებში)	იმპორტირებული საქონლის საბითუმო გაყიდვები ადგილობრივ ბაზარზე	სულ ამონაგები:
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2020 წელი	8 842 795	34 339	304 453	9 181 587

შენიშვნა #2 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი ხარჯებისაგან

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2020 წ
	ლარი
კომუნალური ხარჯები	1 181
სოციალური დანარიცხი	3 856
შრომის ანაზღაურება	133 695
ცვეთა და ამორტიზაცია	7 900
იჯარა	11 250
საგადასახადო ხარჯი	2 439
სხვადასხვა ხარჯი	7 283
სულ	167 604

შენიშვნა #3 - სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი სხვასთან ერთად მოიცავს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შემოსავალსა და ხარჯებს.

კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში. ასევე ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოელ მომწოდებლებთან, აფორმებს ხელშეკრულებებს უცხოურ ვალუტაში საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან და ა.შ. შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში უფიქსირდება კრედიტორული დავალიანებები ვალუტაში,

	2020 წ ლარი
შემოსავალი ვალუტის გადაფასებიდან	341 042
სახელმწიფო შეღავათი	15 222
არასაოპერაციო მოგება	368
ს უ ლ	356 632

შენიშვნა #4 - სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი სხვასთან ერთად მოიცავს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შემოსავალსა და ხარჯებს.

კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში. ასევე ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოელ მომწოდებლებთან და მიმწოდებლებთან, აფორმებს ხელშეკრულებებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში უფიქსირდება კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები ვალუტაში, აწარმოებს კონვერტაციის ოპერაციებს და წარმოექმნება შემოსავალი/ზარალი ვალუტის გადაფასებიდან, კონვერტაციის ხარჯები და შემოსავალი/ზარალი კონტრაქტების კურსთაშორის სხვაობებიდან.

2020 წელი	
	ლარი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(143 349)
სხვა არასაოპერაციო ზარალი	(220)
სულ:	(143 569)

შენიშვნა #5 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	01.01.2020	31.12.2019
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	50 186	10 421
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2	4 044
სულ :	50 188	14 465

შენიშვნა #6 - მარაგები

	სარეალიზაციოდ განკუთვნილი მარაგები	წარმოებისთვის ნედლეულის მარაგები	სხვა მარაგები	სულ:
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 1 იანვარი 2020	2 288 323	93 285	14 712	2 396 320
შეძენა	266 938	917 659	1500	1 186 097
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(311 393)	(831 335)	(16 212)	(1 158 940)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	2 243 868	179 609	0	2 423 477

შენიშვნა #7 - ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგ არები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტ ერები	სატრანსპო რტო საშუალება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი		
თვითღირებულება 1 იანვარი 2020	105 692	20 765	5 259	14 950	146 666
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2020	(19 051)	(5 471)	(1 357)	(1 732)	(27 611)
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2020	86 641	15 294	3 902	13 218	119 055
შემოსვლა	279	0	0	0	279
ცვეთის ხარჯი	(10 879)	(3 515)	(962)	(2 136)	(17 492)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	76 041	11 779	2 940	11 082	101 842
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2020	105 971	20 765	5 259	14 950	146 945
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	(29 930)	(8 986)	(2 319)	(3 868)	(45 103)

შენიშვნა #8 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
	ლარი
თვითღირებულება 1 იანვარი 2020	2 542
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2020	(388)
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2020	2 154
შემოსვლა	0
გასვლა	0
ამორტიზაციის ხარჯი	(255)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	1899
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2020	2 542
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბერი 2020	(643)

შენიშვნა #9 – სესხები/ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო 2020 წელს კომპანიის მიერ დირექტორების შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 51 905 ლარი. კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ. სესხი განიხილება, როგორც მოკლევადიანი უპროცენტო.

	2020 წელი
	ლარი
ვალდებულების ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	66 207
სესხის გაცემა	80 062
სესხის დაფარვა	(3 536)
ვალდებულების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	142 733

ჩვეულებრივი იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფაბრიკისთვის და მაღაზიისთვის ფართები. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე 2020 წელს აღირებულია ხარჯად - 58123 ლარი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გააჩნია ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიაში აქტივების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი

